<u>მივლინების ანგარიში</u>

მივლინებული: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრი, მანანა კობახიძე და დელეგაციის მდივანი, ალექსანდრე რამიშვილი.

მივლინების მიზანი: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედი კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.
მივლინების ადგილი: ქალაქი ნიქოზია, კვიპროსის რესპუბლიკა
მივლინების თარიღი: 2016 წლის 25-26 ნოემბერი

25 ნოემბერს, კვიპროსის რესპუბლიკის დედაქალაქ ნიქოზიაში გაიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ეროვნული პარლამენტების დელეგაციების ხელმძღვანელები, ასამბლეის პრეზიდენტი, პედრო აგრამუნტი და ვიცე-პრეზიდენტები, კვიპროსის რესპუბლიკის წარმომადგენლობითი პალატის პრეზიდენტი, დემეტრის სილურისი, კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, პოლიტიკური ჯგუფებისა და კომიტეტების ხელმძღვანელები - სულ სხვადასხვა ქვეყნის 60-მდე დეპუტატი.

მუდმივმოქმედმა კომიტეტმა, სხვა საკითხებთან ერთად მოისმინა ანგარიშები მოლდოვაში, მოროკოში, მონტენეგროსა და საქართველოში გამართულ არჩევნებზე მივლინებული ბიუროს სადამკვირვებლო მისიების ხელმძღვანელებისგან.

საქართველოში 8 და 30 ოქტომბერს გამართული არჩევნების შესახებ ანგარიშის მოკლე მიმოხილვით შემოიფარგლა ლიტვის რესპუბლიკის დეპუტატი და სადამკვირვებლო მისიების ხელმძღვანელი, ემანუელ ზინგერისი. დეპუტატმა აღნიშნა, რომ საქართველო არის ევროპული არჩევანის მქონე სამაგალითო ქვეყანა მთელს რეგიონში და არა მხოლოდ კავკასიაში. ბატონმა ზინგერისმა პოზიტიურად შეაფასა ძირითადი საპროცედურო საკითხები. თუმცა აღნიშნა, რომ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საკანონმდებლო გაუმართაობის პრობლემა. მან მოუწოდა ქართველ კანონმდებლებს საკანონმდებლო ნაკლოვანებების შევსებისკენ. ბატონმა ზინგერისმა ასევე აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობამ, რაც არჩევნების შედეგად მივიღეთ, შესაძლოა ხელისუფლების დანაწილების სისტემაში გარკვეული დისბალანსი შეიტანოს. მან იმედი გამოთქვა, რომ ქართული ოცნება კონსტრუქციულად გამოიყენებს საკონსტიტუციო უმრავლესობას.

იგივე თემას გამოეხმაურა ესპანელი დეპუტატი ჟორდი ჩუკლა, რომელიც საქართველოში ამავე სადამკვირვებლო მისიების წევრი იყო. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო კავკასიაში დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულების მაგალითის მომცემი ქვეყანაა. მან დასძინა, რომ წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები 4 წლის წინანდელ არჩევნებს გაცილებით სჯობდა, თუმცა არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული კანონმდებლობა მისი აზრით დახვეწას საჭიროებს. დეპუტატის აზრით, ახლადარჩეული ხელისუფლება გონივრულად

გამოიყენებს საკონსტიტუციო უმრავლესობას, თუმცა იგი ფიქრობს, რომ ეს ერთგვარი გამოწვევა იქნება ხელისუფლებისთვის.

მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაზე საქართველოს წარმომადგენელმა, მანანა კობახიძემ მადლიერება გამოხატა სადამკვირვებლო მისიების მიერ გაწეული შრომის გამო და იმედი გამოთქვა, რომ ევროპის საბჭო კვლავაც აქტიურად იქნება ჩართული საქართველოში დემოკრატიული პროცესების კონსოლიდაციის საქმეში. დეპუტატმა გაიხსენა, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა ყველა დემოკრატიული პრინციპის დაცვით და დაარწმუნა კომიტეტის მონაწილეები, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული მცირედი ხარვეზები აუცილებლად გამოსწორდება. მანანა კობახიძემ არჩევნების დროს დაფიქსირებულ სამართალდარღვევებზეც ისაუბრა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყველა კანონდარღვევაზე ხელისუფლების მხრიდან მოხდა დროული და სათანადო რეაგირება.

ალექსანდრე რამიშვილი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში
საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი
დელეგაციის მდივანი